ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ № 2295/50

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 23 მარტი 2012 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), მინისტრის პირველი მოადგილის თამარ მარტიაშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "ჯეორესეტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორი თამაზ შენგელია, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მული მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე დადეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს “2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, დევნილთა განსახლების ღონისძიებებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი შენობა-ნაგებობის, დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვათა შედგენის (CPV 712 42000 პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა) მომსახურების შესყიდვა.

3.2. კომპაქტური ობიექტების ნუსხა განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით № 1 რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს..

3.4. <u>შესყიდვის საშუალება</u> – გამარტივებული შესყიდვა: 2012 წლის 14 თებერვლის № 270 საქართველოს მთავრობის განკარგულება.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 31000 (ოცდათერთმეტიათასი) ლარს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.2 შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.3. შემსყიდველი ეტაპობრივად გადასცემს მიმწოდებელს ობიექტების ნუსხას.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ეტაპობრივად 2012 წლის 10 აპრილამდე განახორციელოს მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.5. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.6. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.7. მხარეები პასუხს არ აგებენ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოეწერას განახორციელებს ამისათვის სპეციალურად უფლებამოსილი პირი. ტექნიკური ზადამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით ჩოთირიძე და ამავე სამმართველოს უფროსი სპეციალისტები დავიტ ჟღენტი და რატი სვანიძე.

6.2 მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება გაწეული მომსახურების დასრულებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.3. მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი თამარაშვილის № 15ა

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 30 აპრილამდე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

8.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება ხარისხიანად წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების შეცვლა.

10. ანგარიშსწორება

10.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესაბამისი მიღება – ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში..

10.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

11. ფასები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 0,07 %-ს.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

17.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი	შ.პ.ს. "ჯეორესეტი" მისამართი: ქ. თბილისი ბარნოვის ქ.№71, II სადარბაზო ბინა №26 საიდ კოდი: 204560242 ტელ: 599 22 71 07 საქ. ბანკი ტ/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE 87 BG 0000000 26 87 32 700 დირექტორი თამაზ შენგელია

დანართი № 1

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მხარეთა შორის 2012 წლის 23 მარტს გაფორმებული № 2295/50 ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს

№	ობიექტის დასახელება	გასაწევი მომსახურება
1	ქ. თბილისში ბაქოს ქ. № 1ა-ში მდებარე შენობა	შენობის არქიტექტურული გადაგეგმარებისა და გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო სამუშაოების შედგენა

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მისამართი ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მარტიაშვილი	შ.პ.ს. "ჯეორესეტი" მისამართი: ქ. თბილისი ბარნოვის ქ.№71, II სადარბაზო ბინა №26 საიდ კოდი: 204560242 ტელ: 599 22 71 07 საქ. ბანკი ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE 87 BG 0000000 26 87 32 700 დირექტორი თამაზ შენგელია